ხელშეკრულება №12

გამარტივებული სახემწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 26.09.2016 წელი

ერთის მხრივ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული **ორგანო-დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრი** (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი უფროსის - **ლელა ჯაშის** სახით და მეორეს მრივ, **შპს „კაემტ გრუპი"** (შემდგომში მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის - კობა მარგველაშვილის სახით, „ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელსეკრულების საგანია საკანცელარიო ნივთების (CPV კოდი: 30192121; 30192700; 30196200; 30192125; 30192160; 30192160; 30197320; 30197110; 30196200; 30199230; 22852000; 22816300) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 126,60 (ასოცდაექვსი ლარი და 60 თეთრი) ლარს.

2.2 ერთეულის ფასი განსაზღვრება შემდეგნაირად:

1. კალამი CPV-30192121- რაოდენობა 72 ცალი-ერთეულის ფასი 0,25 ლარი -სულ 18,00 ლარი;
2. სკოჩი - CPV-30192700- რაოდენობა 1 ცალი-ერთეულის ფასი 0,30 ლარი -სულ 1,20 ლარი;
3. სკოჩი - CPV-30192700- რაოდენობა 1 ცალი-ერთეულის ფასი 0,30 ლარი -სულ 1,20 ლარი;
4. ჩასანიშნი ფურცელი-30196200 - რაოდენობა 3 ცალი-ერთეულის ფასი 1 ლარი -სულ 3,00 ლარი;
5. წებო მშრალი - CPV-30192700- რაოდენობა 2 ცალი-ერთეულის ფასი 0,5 ლარი -სულ 1,00 ლარი;
6. ტექსტმარკერი - CPV-30192125 - რაოდენობა 6 ცალი-ერთეულის ფასი 0,80 ლარი -სულ 4,80 ლარი.
7. კორექტორი - CPV-30192160 - რაოდენობა 2 ცალი-ერთეულის ფასი 0,90 ლარი -სულ 1,80 ლარი.
8. კორექტორი - CPV-30192160- რაოდენობა 5 ცალი-ერთეულის ფასი 1,00 ლარი -სულ 5,00 ლარი.
9. სტეპლერი მეტალის - CPV-30197320 - რაოდენობა 1 ცალი-ერთეულის ფასი 3,30 ლარი -სულ 3,30 ლარი.
10. სტეპლერი მეტალის - CPV-30197320 - რაოდენობა 1 ცალი-ერთეულის ფასი 3,30 ლარი -სულ 3,30 ლარი.
11. სტეპლერი - CPV-30197320 - რაოდენობა 1 ცალი-ერთეულის ფასი 4,30 ლარი -სულ 4,30 ლარი.
12. სტეპლერის ტყვია - CPV-30197110 - რაოდენობა 40 ცალი-ერთეულის ფასი 0,25 ლარი -სულ 10 ლარი.
13. სტეპლერის ტყვია - CPV-30197110 - რაოდენობა 20 ცალი-ერთეულის ფასი 0,40 ლარი -სულ 8,00 ლარი.
14. ჩასანიშნი ფურცელი წებოვანი - CPV-22816300 - რაოდენობა 5 ცალი-ერთეულის ფასი 3,00 ლარი -სულ 15,00 ლარი.
15. ჩასანიშნი ქაღალდი - CPV-30196200 - რაოდენობა 2 ცალი-ერთეულის ფასი 5,50 ლარი -სულ 11,00 ლარი.
16. კონვერტი დიპლომატიური - CPV-30199230 - რაოდენობა 40 ცალი-ერთეულის ფასი 0,07 ლარი -სულ 2,80 ლარი.
17. კონვერტი - CPV-30199230 - რაოდენობა 9 ცალი-ერთეულის ფასი 0,30 ლარი -სულ 2,70 ლარი.

18. საქაღალდე სწრაფჩამკერი ქაღალდის - CPV-22852000 - რაოდენობა 20 ცალი-ერთეულის ფასი 0,35 ლარი -სულ 7,00 ლარი.
19. საქაღალდე - CPV-22852000 - რაოდენობა 32 ცალი-ერთეულის ფასი 0,70 ლარი -სულ 22,40 ლარი.

2.3 ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1 მომსახურების გაწევა დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.
3.2 მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.
3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.
3.4 ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.
3.5 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების ინსპექტირებასა და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის განხორციელებაზე უფლებამოსილი პირია ლელა ჯაში.

4.საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1 მიმწოდებელი საქონლის გადაცემას უზრუნველყოფს მოთხოვნიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში.

4.2 მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, ა.მირცხულავას ქ. N4.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 **შემსყიდველი უფლებსამოსილია:**
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება,
ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები.
გ) ამ მუხლის 5.3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში თავად მიიღოს ზომები ნაკლის აღმოსაფხვრელად და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

5.2 **მიმწოდებელი უფლებამოსილია** მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3 **მიმწოდებელი ვალდებულია:**
ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.
ბ) უზრუნველყოს ხარისხიანი მომსახურების გაწევა და გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, ახალი და სათანადოდ შეფუთული საქონელი.

გ) შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 2(ორი) სამუშაო დღისა განახორციელოს უხარისხო საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა ან შეკეთება შემსყიდველის მხრიდან დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე.

6. პირგასამტეხლო

6.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0,1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0,1 %-ის ოდენობით.

6.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

6.3 ხელშეკრულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი.

7.ფორსმაჟორი

7.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2 თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორით მოქმედების დასრულებისთანავე.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება;

დ) თუ ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბია;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

10. შეტყობინება

10.1 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.
10.2 შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

11. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა გადასახადების გადახდაზე.

12. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად - ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი- შემსყიდველთან.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 10 ნოემბრის ჩათვლით.

14. სხვა პირობები

14.1 არცერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
14.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, თანხებით და რისკით.

შემსყიდველი:

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის
საგანმანათლებლო რესურსცენტრი

მისამართი: ქ. თბილისი, ა.მირცხულავას ქ. N4

საიდენტიფიკაციო კოდი: 202347004

საბანკო რეკვიზიტები:

სახელმწიფო ხაზინა

მიმწოდებელი:

შპს „კაემტ გრუპი“

მისამართი: ქ. თბილისი, კედიას ქ.N10

სადენტიფიკაციო კოდი: 401983136
საბანკო რეკვიზიტები: სს „პროკრედიტ ბანკი“
ბანკის კოდი: MIBGGE22
ანგარიშსწორების ანგარიში:
GE20PC0023600100021180

უფროსი

ლელა ჯაში

დირექტორი

კობა მარგველაშვილი